ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 388. კვირა, 28 აგვისტო 1911 წ. დამატების № 68



ჯიოკონდა—სურ. ლეონარდო დე-ვინჩისა, რომელიც პარიზში ლუვრის მუზეუმიდან დაიკარგა. (იხილე მეოთხე გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ძალა

(შემდეგი *)

— ბეკო! ბეკო! ბატონო, შენი ჭირიმე!!

ბეკო შეჩერდა.

— ჯვებე?! ა? ჯვებე?

— ბეკო, ბატონო, ბეკო, შენი ჭირიმე!!

— რა გინდოდა ასე ვვიან? სად იყავი, ჯვებე!?

მიუახლოვდა. საშინელმა აზრმა გაურბინა.

— ა? სად იყავ!.. ხო ჯვებეა!!

— მშია!

— მოდი, მოდი, საცოდავო ჯვებე! მოდი პური ვჭამ მოთ!—ბეკო გაემართება წისქვილის კარებისკენ, სანამდის გააღებს კარს, რამდენჯერმე შეხედავს ჯვებეს. ცოტა ნელ-შორებით სდგას ჯვებე უსიტყვოდ, უძრავად.

— ჯვებე!—შეჰყვირებს ათრთოლებული ბეკო.—რად გაჩუმებულხარ? სთქვი რამე!! ხმა მეთქი! ხმა ამოიღე!

— ბეკო, ბეკო! ბატონო, შენი ჭირიმე!

— წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენ!!

სამჯერ გადაიწერს პირჯვარს ბეკო და შევა წისქვილში. სანამდის იგი ჭრაქს აანთებს, ჯვებე მობრუნდება და ჩქარის ნაბიჯით წავა თავის ქოხისკენ.

— ჯვებე, შემოდი და კარი დაკლიტე! რად გაჩერებულხარ გარედ?

მაგრამ ჯვებე წასულია.

— ა? ჯვებე, რა დაგემართა, შე ცოდვის შვილო? შემოდი...

გამოიხედავს კარში. ჯვებეს ვერ დაინახავს. გულმოსული გამოვა გარედ და დაუძახებს:

— ჯვებე! ჰაუ!

პასუხს არავინ გასცემს. ბეკოს შიში აიტანს. უცბად შებრუნდება წისქვილში და მაგრად ჩაიკეტავს კარებს. ჩამოიხსნის გულზე ზონარით დაკიდებულს წმ. ნაწილს, კედელზე ჩამოჰკიდებს, სამთელს აუნთებს, მის წინ დაეცემა მუხლებზე და ლოცვას იწყებს.

როცა დამშვიდდება, საჩქაროდ გაიხდის ტანთ და დაწვება. ჭრაქს გააქრობს; როგორც კი ბალიშზე თავს მისდებს ტყეში მოჩვენებული ლანდი მოაგონდება.

ცდილობს მოიშოროს, ლოცვას იტყვის, მაგრამ ლანდზე ფიქრი მაინც არ შორდება.

„მოვიდა დილით ადრე შავსახიანი, გამხდარი, თვალებ ჩაცვივნილი. კანკალებს, მორიდებით ბეკოს წინ მუხლზე დაეშვება. ეტყვის ჩამწყდარი ხმით, შესაბრალისად:—მაკმარე! მაპატიე!!“

ბეკო თავს ასწევს, სამთელს დაუწყებს ყურებას.

„სოფელი თავს მოიყრის წისქვილის წინ უცდიან ბეკოს სიტყვას, სულგრძელობის გამოჩენას. ბეკო მედიდურად გამოიყურება,—მასზეა დამოკიდებული ხსნა-პატიება, „ბეკო, მიხსენი! ნუ მისცემ ჩემს თავს ცეცხლს!“—ბეკო თავს მაღლა ასწევს:—არ მომეკარო! შორს!—ხალხი ამის გაგონებაზე შეძრწუნდება. დამნაშავე პირქვე დაეცემა. ბეკო ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან.

— არ მომეკარო! შორს! შორს!“

არ ეძინება ბეკოს. სიჩუმეა. ხოლო ერთნაირად გაისმის წისქვილის ღარში წყლის ჩქამი. ბეკო დახუჭავს თვალებს. თავს საბანში ჩაიმალავს. ბნელა.

— ეს ორმოცდაათი ღიურსმანი! მაკმარე ბეკო!!

— ა? არ მომეკარო! შორს!—უცებ გადაიძრობს საბანს. თვალებს გაახელს.

შავი, მაღალი, გრძელ ხელებიანი სდგას მის წინ.

— შორს! წმიდაო სამებაო!... შორს!.. სახელითა მამისათა, და ძისათა... ასე! გაჭრი! განა შენ იცოდი შებრალება? ანგელოზი ბავშვი შენ არ მოჰკალი? ჰა! არ იქნება! ტყვილა მიფროხობ ძილს!!

ომობს ბეკო. იბრძვის საცოდავი, მაგრამ ვერას ახერხებს, ადგება, ლოცვას მიჰმართავს. გულზე ხელებს იკვეთს, თავს მიწაზე არტყამს.

ბოლოს დაიღლება. დასუსტება. სადაც მუხლმოყრილი იდგა წმ. ნაწილის წინ იქ დაეცემა. ძილი მოეკიდება... ლოცვის სიტყვები პირზე შერჩება...

**

დილის ადრე დგება ბეკო, ჩვეულებრივზე უფრო ადრე. მას დატანჯული, უძილობით დათენთილი სახე აქვს. სწრაფლად გადის წისქვილიდან, რომ ცივი წყალი შეისხას სახეზე. გამოვა გარედ თუ არა, ღარის თავზე დაინახავს ჯვებეს.

— ჰეი!—დაუძახებს.

ჯვებე თავს ასწევს და შეჰხედავს.

— ჯვებე, შენ? სად იყავი, საბრალო? ასე ადრე რამ აგაყენა?

— ხის ტოტზე ვიჯექ! ტყეში ვიყავი. ვნახე ლორი. მიწას სთხრიდა, ფოლადის ნიჩავი ჰქონდა. ბევრი მიწა მოსთხარა. ნახა რალაცა და შესჭამა, ქვაბის კუჭი ქონდა, და მასში ვერცხლის წყალი სდუღდა!!

— მერე? საწყალო ჯვებე! ხომ არა გტკივა რა?

— კი! მტკივა, ტვინი მტკივა!—უპასუხებს და ნიკაპით მუხლზე დაეყრდნობა.

ბეკო ერთს ხანს შეჰყურებს მას.

— ნუ გეშინია, ჩემო ჯვებე! მე მოგარჩენ! შეგვეედრებ წმ. გიორგის! შენ ოლონდ დამიჯერე მე! სული გრძელია, ღმერთი გაპატიებს!!

და ამ სიტყვებით ბეკო მივა წყალთან, ხელ-პირს დაიბანს. ჯვებე ჩაჩუმდება. ხელ-პირის დაბანვის შემდეგ ბეკო შეჩერდება თავის მინდორზე, მოიხდის ქუდს და შეუდგება ლოცვას. ბეკო ხმა მაღლა ლოცულობს. ჯვებეს ესმის ბეკოს სიტყვები და მუხლს იკბენს.

ლოცვის შემდეგ ბეკო წყევაზე გადადის: დღეს იგი უფრო თამამია, გამბედავი. ჭექა ქუხილი ამოსდ ს პირიდან. შესთხოვს ბეკო წმ. გიორგს დაუჩქაროს და ლახვარი დასცეს მის მტერს,—რალა ახლო-მახლო დაჰყავს ნადირი!?

— ბეკო!—შესძახებს მას ჯვებე და ზე წამოდგება. ბეკო მას არ უსმენს და განაგრძობს წყევას.

— ბეკო!—ყვირის ახლა ჯვებე.—ნუ! შესწყვიტე!!

— აპა! ყოველს სულდგმულში გამოიწვიოს მან შებრალება, მხოლოდ წმ. გიორგში კი არა!!—ლაღადებს ბეკო. მაშინ მოწყდება უცბად თავის ადგილს ჯვებე და ბეკოს ეცემა.

ათრთოლებული, სახეზე სისხლ მოწოლილი ჯვებე შეკუშმნის ბეკოს და განზე გადაისვრის.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

† გლეხი ნიკო ფარნიაშვილი
რომელიც 1911 წ. 4 მარიამობისთვეს მოჰკლეს.
(იხ. დღევანდელი გაზეთი).

— აა ჰ, აჰ!—შეჰკივლებს იგ!

ბეკო გაოცებული წამოვარდება, დაშინებული უკანასკნელს ღონეს მოიკრებს და მიჰმართავს ჯვებეს.

— დასჯილო და ცის რისხვა დაცემულო! როგორა ბედავ შენ წმ. გიორგის მსახურს შეახო ხელი? როგორა ჰბედავ აღამაღლო ხმა იქ, სადაც წმ. გიორგის გულზე მატარებელი ცათა მხედართა ბატონს შესთხოვს მოწყალებას!! როგორ წაპილწე შენ ეს წმ. ადგილი, სადაც ას ორმოცდაათი ფიცი შემიკრავს!.. დაეცი პირქვე, შეჩვენებულო! შემავედრე თავი, რათა რისხვა ჩემი თავზე არ დაგატყდეს!!

თვალებში ჩასჩერებია ბეკო ჯვებეს, ჯვებე ვერ უძლებს მის თვალთახედვას; ბეკოს სიტყვები უროსავით სცემენ მას.

— პირქვე დაეცი, ცოდვილო რომ ცამ არ იქუხოს!! პირქვე დაეცი, გიბრძანებ შენ!!

როგორც ზურგში ცაწყვეტილი გველი, მოიგრიხა, გაიკლაკნა ჯვებე, დაემხო ბეკოს წინ პირქვე.

— ჰო, შე უბედურო! რად შესცოდე კვალად ზეცას!? წმინდა სამების სახელით გიბრძანებ დამემორჩილო ამიერიდან და ჩემს ნებას არ გადაუხვიო!—თავზე ადგას ბეკო ჯვებეს და ზედ დაჰყვირის. ჯვებე კანკალებს, ცახცახებს, ქშინავს!

— ჩემთან უნდა დარჩე შენ, რათა მოგაცილო მამაპაპეული ცოდვა! ახლა კი ადექი და მომყევი მე!—უბრძანებს ბეკო.

ჯვებე მორჩილათ ადგება და მიჰყვება.

ბეკო შედის წისქვილში დააჩოქებს ნება წართმეულს ჯვებეს და ამნაირად გამოულოცავს:

— ყოვლად წმ. სამებაო, გადმოჰხედე ლმობიერის თვალებით ამ ობოლს, აკმარე ხვალება, სასჯელი! გაანთავისუფლე იგი საშინელი ბორკილიდან! გამოიჩინე შენი მოწყალება და შეჰპატე მას შენი მადლი! ჩაჰბერე უკვდავების სული შენი და განაცოცხლე მასში შენი გონიერება, შენი სულიერება! მოიმოქმედე სასწაული, რათა გიწამოს რაც დედამიწაზე ხალხია!!

ასე ლოცავდა ჯვებეს ბეკო. იგი თან-და-თან რბილდებოდა, ალერსით გამოსთქვამდა სიტყვას, რათა შეესუსტებინა თავისი წყრომა, და ჯვებე დაეწყნარებინა.

— ახლა შენც, საბრალო ჯვებე! შენც შეავედრე თავი უფალს!!

მაგრამ ჯვებე მაღლიდან, გადმოსროლილი ხის ჯირკვივით დაეცა ბეკოს წინ. მას თვალები გასწითლებოდა, სახე დასჭარხლებოდა! პირზე დორბლი მოსდგომოდა. ბეკო არ დაიბნა, სწრაფლად მოიხელა დოქი და წყალი გადაეპკურა ჯვებეს.

— რად არ შეიყრის უფალო ამას ჩემს დამქცეველს? რაღა ამაზე მოიცალა?

ხელი მოჰკიდა ჯვებეს, ლოგინზე გადაიყვანა. გაუხსნა გულმკერდი პირში წყალი ჩააწვეთა. დიდხანს იყო ჯვებე უგრძნობლად. იგი დაკლული პირუტყვივით ფეხებს და ხელებს იქნევდა. ბეკომ საბანი გადაახურა. თავქვეშ ბალიში ამოუდვა.

— ნუ გეშინია, ჩემო ჯვებე!.. დაწყნარდი! უფალო და ღმერთო ჩემო, მაჩუქე ამ უბედურის თავი! ნუ გასწირავ მას!!

ჯვებე კიდე კანკალებს. ბეკო ჭეპირად უკითხავს რამდენიმე ლოცვას. პირჯვარს გადასწერს!!

ბეკოს ლოცვის კითხვაში ჯვებე თითქო დამშვიდდა, და ბოლოს ღრმა ძილში ჩავარდა.

ბეკო ფამოვიდა გარედ, დაასრულა შეწყვეტილი წყევა და ისევ შებრუნდა წისქვილში. მიალაგ-მოალაგა ლოგინთან. მილაგების დროს დაინახა მიწის იატაკზე ხის კოლოფი ჯვებეს მოჰხსნოდა და ძირს დავარდნილიყო. ბეკომ აიღო იგი ხელში და შიგ ჩაჰხედა: კოლოფი სავსე იყო ქანგიანი ლურსმნებით.

— გაუკვირდა ეს ბეკოს.

— რად უნდა საცოდავს?—სთქვა და თავ-ქვეშ ამოუდვა ჯვებეს.—რას ნიშნავს ღვთის ძალა??

ამოხვრით ჩაილაპარაკა მან და ჩამოჯდა იქვე ჯვებეს გვერდით.

**

თავის ქოხის წინ მინდორზე პირაღმა წევს ჯვებე. თვალები დახუჭული აქვს. ის ფიქრობს ცუშინდელს დღეზე. ბეკოს მოგონებაზე სახე უთრთის, პირი ემუწება.

— რა უნდა? რა უნდა? რად იწყევლება ამდენს?

გვერდზე გადაბრუნდება, ხელს შემუჭავს და მიწაზე დაარტყამს.

— ჰო, რად იწყევლება?—ვერ შერიგებია ბეკოს მუდმივს წყევას! ჯვებეს მოსვენებას არ აძლევს ბეკო. შორს

არმაზის ღვთის მშობლის ეკლესია ნანგრევებით და მირიან ბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არის, მაშინაც კი ესმის ბეკოს საშინელი სიტყვები, ყურში ჩასწივის.

ხშირად თვალწინ უდგება მას ბეკო ხელებ-აპყრობილი, სასტიკი, ულმობელი. თვალებზე ხელებს მიიფარებს, მაგრამ... ბეკოს სახეზე მაინც არ ეთხოვება მას—ჯვებე გრძნობს ბეკოს ახლოობას.

— ჰა! რა გინდა?

სწრაფლად ადგება, შედის ქოხში და კარებს მოიხურავს.

— ხომ მოგიშორე?—ქოხის ბნელს კუთხეში მიიმალება. დაშინებული იყურება. ერთს ხანს არ ჩაესმება ყურში ბეკოს სიტყვები, მაგრამ ცოტა ხანი გასტანს ჯვებეს სიმშვიდე მოესმება:

— ჯვებე! უნდა დამემორჩილო!!

ტყვია ნაკრავი მხეცივით წამოვარდება ჯვებე. უნდა შეუტიოს, ხელი სტაცოს, სწვდეს ყელში და მოარჩოს.

— საბრალო ჯვებე, ნუ გეშინია! წმ. გიორგი მაჩუქებს მე შენს თავს!!

თმა ყალხზე უდგება ჯვებეს.

— დამეთხოვე, ბეკო! წადი აქედან! აიბარგე!

— როგორ გაბედე შენ, შეჩვენებულო, ღვთის მიერ გარისხულო, ჩემი ხელის შეხება?

აენთება ჯვებე.

— ჩაკმინდე ენა!—ჩაკმინდე ენა!!

— მუხლი მოიყარე, ცოდვის შვილო! — ბეკოს თვალები სჭრიან ჯვებეს, შუა აპობენ, სერავენ!!

— ბატონო ბეკო! შენი ჭირიმე ბატონო!

— ასი მიტანია დილას, ორასი საღამოს!!

-- ჰა, ბეკო! ვსტირი, ვსტირი მე!

— მაგრე! იტირე, იტირე! იქნებ ცრემლმა მოგბანოს მამაპაპეული ცოდვა შენი!

რა ქნას ჯვებემ? ვერ გაექცევა იგი ბეკოს. ახლა თითონ შეიმწყვდია თავი მან ქოხში.

— ბეკო, წისქვილშია? მარცვალი დაეკლდა! ჰკოვის, ხომ გეყურება! გამიშვი, მე ვაჭმევ!!

— წადი! მეც თან მოგყვები!

გამოდის ჯვებე ქოხიდან. კარს გამოუხურავს სტოვებს და თითონ გარბის, მაგრამ წისქვილისკენ არა! გარბის ტყისკენ, გარბის რაც ძალი და ლონე აქვს!!

— აჰა! ვერ წამიხვალ! შეჩერდი! სად გარბიხარ??—უკან მისდევს ბეკოს ხმა ჯვებეს! ჯვებეს ფეხები უსუსტდება. ტყის პირად პირქვე დაეცემა.

რად არ გასკდება მიწა და ჯვებეს არ დამალავს?

— ასე!! ხომ გითხარი, ვერ წამიხვალ მეთქი?

— ჰო, ვერა, ვერა!!

— ჰაშ, იარე, წამოდი ჩემთან!!

— მოვალ! მოვალ! მერე...

— არა, გიბრძანებ, ახლავე მომყევ!

კისერზე ბაწარ მობმული პირუტყვივით გვერდზე დაჰკიდა ჯვებემ თავი და გაჰყვა ბეკოს, რომელიც მისთვის ცხადი იყო მაშინ, სინამდვილე!

მიუახლოვდება ჯვებე წისქვილს თუ არა, ყურს მოჰკრავს ბეკოს ხმას:

— წმ. გიორგიმ ას-ერთი ეკლესიისამ თავზე დაატეხოს...

გამოერკვევა ჯვებე. სწრაფლად მობრუნდება უკან, მაგრამ ბეკო მოჰკრავს თვალს.

— ჯვებე! ჯვებე! საცოდავო ჯვებე! მოდი ჩემთან!

მაგრამ ჯვებე თავის ქოხისკენ გარბის...

— ჰმ! საცოდავი! აი რისხვა წმ. გიორგისა. მალე, მალე დამანახვე, მეუფეო. ჩემი მტერიც მაგ ყოფაში!—ამბობს ბეკო და წყევას განაგრძობს.

ჯვებე კი გახელებულ ძაღლივით, რომელსაც მოსაკლავად მოსდევს სოფელი, თავის ეზოში შევარდება.

პირველი აზრი, რომელიც ელვასებ გაუქროლებს თავში—ეს ცეცხლია, და წინ ელობება ჯვებეს ცეცხლი.—ცეცხლის ალი, ცამდის ასული, საშინელი და ძლიერი!

— ცეცხლი! ცეცხლი!—შეჰკივლა ჯვებემ და ფეხი შედგა კარ გაღებულს ქოხში.

ლეო ქიაჩელი.

(შემდეგი იქნება)

ჯიოკონდა

ჯიოკონდას მოდელად ლეონარდო დელ-ვინჩის ჰყავდა მონა ლიზა გერადინი, ფრანჩესკო-დელ-ჯიოკონდოს მესამე მეუღლე, აქედან მიიღო ამ სურათმა „ჯიოკონდცს“ სახელწოდება.

საფრანგეთმა ეს სურათი ფრანციუკ პირველის ხელით შეიძინა, 4 ათას ოქროდ. პირველად ი ი ეკიდა ფონტენებლოს ოქროს კაბინეტში, შემდეგ ლიუდოვიკ XIV მიერ გადატანილი იქმნა ვერსალში, (პარიზის მახლობლად) ხოლო რევოლიუციის შემდეგ—ლუვრის მუზეუმში (პარიზში).

ჯიოკონდას ღიმელის შესახებ მრავალი თხზულებანი დაიწერა. მგოსანნი ჩანგს მისთვის აეღერდნენ, მოაზრენი მის ჯადოსნურ მეტყველების კვლევაში ჭლევდნენ დღეს... მაგრამ ჯიოკონდა, ეს ხელოვნების უკანასკნელი ქმნილება სფინქსი სფინქსადვე დარჩა. არავინ უწყის, რა იხატება მის ღიმილში: დაცინვა თავის მოხუცებულ მეუღლისადმი, თუ თანაგრძნობა დიდებულ მხატვარისადმი.

სწორედ ამიტომაა, რომ ამ დიდებულ ხელოვნების ნაშთის დაკარგვამ ერთბაშად აალაპარაკა მსოფლიოს გული.

კაცობრიობამ შეიძლება ვეღარ დაიბრუნოს ხელოვნებისა და სილამაზის უკანასკნელი ნახატი, რომელიც ჩარჩოებიდან მაყურებელის თვალში რაღაცა მანქანებით ამოსცურდებოდა ხოლმე და თავისთან ერთად სიკეკლუცისა და სინაზის ჯადოსნურ ქვეყანაში ჰკარგავდა.

არსენ გუსეს აზრი—„შეყვარებულის სულს აცისკროვნებს ჯიოკონდოს ერთი შეხედვაო“ მართალი არის. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ ლუვრის მუზეუმში მისულა მისი მშვენებით მოხიბლულთა სატრფიალო წერილები—„ჯიოკონდო, მიყვარხარო“!

თეოფილე გოტიე ჯიოკონდაში ჰხედავდა საოცარს არსებას, მაცდურს, რაღაც ზეარს ღვერთების მზგავსს, რომელთაც ყოველისფერი უწყიან. ჯიოკონდა არსებობს და სცხოვრობს, ვითარცა უდიდებულესი მომენტი კაცობრიობის თავისუფლების ისტორიაში, ვითარცა სიმი, რომელიც იდუმალების ხმით ჰკრავს ყოველ ჩვენგანის გულში, ვითარცა ძვირფასი მოხაზულობა დიდბუნებოვან ადამიანის სულისკვეთებისა. ჯიოკონდოს დაკარგვა ეს თვით ქვეყნიერების ხელოვნების დაობლებაა და თუ იგი ალარ დაუბრუნდება ოდესმე მაინც თავის ძველს ადგილს, სანუგეშოდ ისღა შთენია კაცობრიობას საზოგადოდ და საფრანგეთს კერძოდ, რომ მის ადგილას დაცალიერებულს კედელზე მშრალი სიტყვები წააწეროს:

„ოდესმე აქ ჰსუფევდა „ჯიოკონდა“, საოცნებო სილამაზის განსახება და ნუღარა გგონიათ, რომ ოცნებით მაინც დაიბრუნოთ მის ხსოვნის ჩრდილი“!

დ. კ—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჩურდღელაშვილი. მადათოვის ჯუნძული. სტამბა „სორაპანი“